

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“
პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის
შერჩევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ შინაგანაწესის შესაბამისად.
2. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებისათვის პროფესიული მასწავლებლის შერჩევისა და მიღების წესი მიზნად ისახავს კვალიფიციური, სათანადო ცოდნისა და გამოცდილების, შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე პირების შერჩევას.
3. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. პროფესიული განათლების მასწავლებელი

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების მფლობელი პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში და აქვს შესაბამისი დარგობრივი პროფილით მუშაობისა და/ან პედაგოგიური საქმიანობის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება.
2. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის შესაძლებელია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები.
3. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის შესაძლოა დადგინდეს განსხვავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

მუხლი 3. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღების წესი

1. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღება ხორციელდება წერილობითი განცხადებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის/დარგის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორთან გასაუბრებისა და ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ კვალიფიკაციის/დარგის კომპეტენციის (სერტიფიკატები, მასტერკლასები და სხვა) შესაბამისობის დადასტურების შედეგად.
2. პროფესიული განათლების მასწავლებლის შესარჩევად შესაძლებელია გამოყენებული იქნას კონკურსით შერჩევის წესი, რომლის თაობაზეც კოლეჯის ვებ-გვერდზე/ოფიციალურ სოციალურ გვერდზე ან/და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ქვეყნდება პროფესიული განათლების მასწავლებლის ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია, სადაც მითითებულია ვაკანსიის დასახელება, სტანდარტის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტაცია და სხვა პირობები.
3. შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება შესაბამისი დარგობრივი პროფილით მუშაობის სტაჟსა და/ან პედაგოგიურ გამოცდილებას.

მუხლი 3¹. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შესაძლოა იყოს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ან პირი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი დარგის სპეციალისტს ან/და კომპეტენციის მქონე პირს.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა ხორციელდება კოლეჯის ხელმძღვანელთან ზეპირი გასაუბრებისა და წერილობითი განცხადების მომართვიანობის საფუძველზე.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად პირი ინიშნება 1 (ერთი) წლის ვადით, როტაციის პრინციპის გათვალისწინებით.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შესაძლოა დანიშნულ იქნას ზედიზედ ორჯერ, წარმატებით განხორციელებული საქმიანობის გამო.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოს ექსპლანატორი და წლიური საბოლოო ანგარიშები. ექსპლანატორი შუალედური ანგარიშის წარმოუდგენლობა ან შესაბამისი პროგრამის ვერტიცილების უარყოფითი შედეგები შესაძლოა გახდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.

მუხლი 4. კონკურსით მიღების წესი

1. კანდიდატის კონკურსის წესით შერჩევისას კოლეჯი ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
2. პროფესიული განათლების მასწავლებლის მისაღებად, ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის შესახებ კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განისაზღვრება:
 - ა) კონკურსანტების მიერ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა;
 - ბ) დოკუმენტების წარმოდგენის ვადა და ადგილი;
 - გ) კონკურსის შედეგების გამოცხადების ვადები.
3. კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით, დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო კომისია შედგება: კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნისა და/ან კომისიის წევრისაგან.
4. საკონკურსო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
5. კომისია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
6. საკონკურსო კომისიის მიერ, დოკუმენტების განხილვის საფუძველზე დგება საკონკურსო კომისიის სხდომის ამსახველი ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
7. კონკურსანტების მიერ კონკურსის პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში მონაწილე პირთაგან ვინ შეიძლება გახდეს დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით და წარედგინება კოლეჯის დირექტორს შემდეგი რეაგირებისათვის.

მუხლი 5. შრომითი ხელშეკრულების გაფორმება

1. ამ წესის მესამე მუხლით გათვალისწინებული გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგების ან/და კონკურსის შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლის ვაკანსიაზე შესაბამისად შერჩეულ პირთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება, გამოსაცემელი ვადით ან მის გარეშე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. კოლეჯში მიღებულ დასაქმებულზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად ინახება შინაგანაწესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.
3. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმება, რომლის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს უძღვება პროფესიული განათლების მასწავლებელი, შრომის კანონმდებლობით დადგენილ სხვა გარემოებებთან ერთად, შესაძლოა გახდეს ამ პროგრამის/მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის საფუძველი.